ქვეპროგრამის დასახელება: მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა

რა არის ქვეპროგრამის არსი?

პროგრამა ითვალისწინებს, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული ახალგაზრდებისათვის, საცხოვრისის მომსახურების დაფინანსებას არამატერიალიზებული სახის ვაუჩერით.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქვეპროგრამის ბენეფიციარები არიან ქ. თბილისში რეგისტრირებული, 18 წლიდან 21 წლამდე (21 წლის შესრულების თვის ჩათვლით) ასაკის პირები, რომლებიც სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში წარმოადგენდნენ ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მოქმედი მცირე საოჯახო ტიპის სახლის ბენეფიციარებს, სრულწლოვანების მიღწევის გამო დატოვეს იგი და საჭიროებენ საცხოვრისს.

ქვეპროგრამის მოსარგებლეებს არ წარმოადგენენ:

ა) სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის - „სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული 18-დან 21 წლამდე ახალგაზრდების მხარდაჭერის ქვეპროგრამაში“ ჩართული პირები.

ბ) პირები, რომლებსაც გააჩნიათ საცხოვრისი ქალაქ თბილისში, გარდა პირებისა, რომელთა სახლი საცხოვრებლად უვარგისია და/ან ოჯახური ძალადობისა თუ სხვა მავნე ზეგავლენის გამო ოჯახთან ერთად მათი ცხოვრება მაღალი რისკის შემცველია.

გ) პირები, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საკუთარი ბაზისური საჭიროებების დაკმაყოფილება და თავის მოვლა.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

- ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა - მოსარგებლეზე მორგებული და მასთან შეთანხმებული ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის შედგენა-განვითარება.
- საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა - კერძო სახლი საძინებელი ოთახით, სამზარეულოთი, ინდივიდუალური სამეცადინო/სამუშაო კუთხით, საერთო ოთახით და სველი წერტილით, აღჭურვილი ცხოვრებისთვის აუცილებელი, საერთო სარგებლობის საბაზისო ავეჯით, ტექნიკით და საყოფაცხოვრებო ინვენტარით ასევე, სხვა აუცილებელი პირველადი მოხმარების საგნებით. საცხოვრისი უზრუნველყოფილია ცხელი წყლით, გათბობით, ბუნებრივი აირით, ელექტრო-ენერგიით და ინტერნეტით.
- მოკლევადიანი პროფესიული გადამზადება და დასაქმების ხელშეწყობა - პროფესიული უნარების და კომპეტენციების განვითარებაში ხელშეწყობა, სამუშაოს ძიებისა და დასაქმების უნარების განვითარება (რეზიუმისა და სამოტივაციო წერილის შედგენა, გასაუბრებისთვის მომზადება), კარიერის დაგეგმვა.

- ფსიქო-სოციალური მხარდაჭერის გაწევა - მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება; ნებელობითი ფუნქციების განვითარება; კომუნიკაციის უნარების განვითარება; ემოციური ინტელექტის განვითარება; მოსარგებლისათვის დამატებითი რესურსების მოძიება.
- ცნობიერების ამაღლება - ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, თანხის და დროის მენეჯმენტის სწავლება.
- განათლება - არაფორმალური განათლების მიღების ხელშეწყობა.
- ჯანმრთელობის დაცვა - პირველადი სამედიცინო საჭიროებების მხარდაჭერა.

ვაუჩერის ღირებულება ერთ ბენეფიციარზე შეადგენს 500 ლარს თვეში. მომსახურების ანაზღაურება ხორციელდება მიმწოდებელი ორგანიზაციისადმი თანხის ჩარიცხვით, მის მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

როგორ უნდა მიიღოს პირმა მომსახურება ?

ქვეპროგრამაში ჩართვა ხორციელდება მეურვეობა-მზრუნველობის ორგანოს -„სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ - შუამდგომლობის საფუძველზე.

მოსარგებლე პირი თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელს, პროგრამაში ჩართული ორგანიზაციებიდან.

<u>პრგოგრამაში მიმწოდებლად რეგისტრირებული ორგანიზაციები:</u>

1. ასოციაცია „საქართველოს ეს-ო-ეს ბავშვთა სოფელი“

რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ვაუჩერის მიღების მსურველმა პირმა?

პირმა რეგიონულ -„სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ უნდა წარუდგინოს:

1. განცხადება პროგრამაში ჩართვის მოთხოვნის შესახებ;
2. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.